განმარტებითი შენიშვნები

შპს „უნიქალმედის“ 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ზოგადი ინფორმაცია

საფირმო სახელწოდება: უნიქალმედი;

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 412714870;

რეგისტრაციის თარიღი: 28. 01. 16.

მარეგისტრირებელი ორგანო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქუთაისი, გამარჯვების I შესახვევი № 14.

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი - შოთა მარუაშვილი 60001055483.

პარტნიორები

მესაკუთრე		წილი
ზვიად წიქორიძე	53001002934	33,3 %;
ანო გაგულაშვილი	60001033679	33,3 %;
მარიამ ბოჭორიშვილი	60001137197	33,3 %.

ცვლილებები

საანგარიშგებო პერიოდში შპს „უნიქალმედის“ სარეგისტრაციო მონაცემები არ

შეცვლილა.

საქმიანობის სფერო

- სამედიცინო მომსახურება;
- მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა, ნებისმიერი, საქმიანობა.

1. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს დირექტორი;

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელია დირექტორი.

ფინანსური ანგარიშგების შედგენას ახორციელებს მთავარი ბუღალტერი.

2. შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად და დაფუძნებულია ორ ძირითად დაშვებებზე: დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა, ფინანსური ანგარიშგების ყველა სხვა კომპონენტი და ელემენტი განსაზღვრულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

საზოგადოება ფუნქციონირებადია და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას. საწარმოს აქტივები *(ძირითადი საშუალებები, რომლებიც აკმაყოფილებენ ძირითად საშუალებებად აღიარების კრიტერიუმებს)* შეფასებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

3. ფუნქციონალური ვალუტა

ფუნქციონალური ვალუტაა და ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარება განხორციელებულია ბასს 16-ის მოთხოვნათა შესაბამისად;

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასებულია მისი თვითღირებულებით;

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება მოხდენილია თვითღირებულების მოდელის მიხედვით;

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ნარჩენი *(თავდაპირველ ღირებულებას - ცვეთა)* ღირებულებით;

ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის პროცესში მათ შეკეთებასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან და სრულყოფასთან დაკავშირებული კაპიტალიზებადი ხარჯებით იზრდება ძირითად საშუალებათა შესაბამისი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი;

საზოგადოების ინვესტიციები ბალანსზე ასახულია საბაზრო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით;

გრძელვადიან აქტივებად, გრძელვადიან ინვესტიციებად, გრძელვადიან სესხებად და კრედიტებად, გრძელვადიან მოთხოვნილებებად და ვალდებულებებად ითვლება ყველა აქტივი ან/და პასივი, საექსპლუატაციოდ გათვლილი ერთ წელზე მეტი ვადით;

ფინანსური იჯარა აისახება გრძელვადიან აქტივებში.

5. ცვეთა; ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი

თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განსაზღვრულია ექსპლოატაციის *(ცვეთის)* პერიოდი და ცვეთის ღირებულება;

ცვეთადი ღირებულება იანგარიშება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ნარჩენი ღირებულება მიიჩნევა, როგორც არაარსებითი და ამდენად, ნულს უტოლდება. ცვეთადი ღირებულება აქტივის *(ძირითადი საშუალების)* თვითღირებულების ტოლია;

ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ლოგიკურად გამომდინარეობს ბასს 2-ის მოთხოვნიდან, რომ არ შეიძლება აქტივების აღრიცხვა იმაზე მეტი თანხით, რომლის მიღება შესაძლებელია მათი გაყიდვის ან გამოყენების შედეგად.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეფასება მიმდინარე აღრიცხვაში წარმოებს ფაქტობრივი თვითღირებულებით, ხოლო ბალანსზე ასასახად, მარაგები შეფასდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის აღსაღრიცხად გამოიყენება მატერიალურ-ფასეულობათა აღრიცხვის მუდმივი *(წრფივი)* მეთოდი *(საბოლოო ნაშთი = საწყის ნაშთს + მიღება - გასვლა).*

7. ხარჯებად აღიარება

თუ მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. მარაგის ნეტო სარეალიზაციო

ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, შესაბამისად, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების *(ანულირების)* თანხა აღიარდება იმ მარაგის თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

მატერიალური ფასეულობების აღიარება ხარჯებად მოხდება მათი ფაქტიურად გახარჯვის *(და არა შეძენის)* მომენტში.

ხარჯები და ამ ხარჯებიდან მიღებული შემოსავლები ბუღალტრულ აღიცხვაში აისახება შესაბამისად, ანუ ხარჯებისა და ამ ხარჯების მეშვეობით მიღებული შემოსავლის აღრიცხვაში დაფიქსირება ხდება ერთსა და იმავე საანგარიშო პერიოდში.

საბუღალტრო აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ტარდება ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, ასევე ფულადი საშუალებებისა და დაუმთავრებელი წარმოების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა/ ინვენტარიზაცია.

8. <u>საქონლის *(მომსახურების)* რეალიზაციის აღრიცხვა</u>

საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა აღირიცხება ბასს 18-ს მოთხოვნათა შესაბამისად. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილდება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) მყიდველს გადაეცემა საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი;

ბ) შეწყვეტილია უწყვეტი მენეჯერული მონაწილეობა და არც გაყიდულ საქონელზე ხორციელდება კონტროლი;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

დ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებელის მიღება;

ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით.

მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

9. <u>პროცენტების, როიალტების და დივიდენდების აღრიცხვა</u>

პროცენტები, როიალტები და დივიდენდები აისახება ბასს 18-ის 30-ე პუნქტის შესაბამისად, თუ:

ა) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან მომავალში შემოვა ეკონომიკური სარგებელი;

ბ) შესაძლებელია ამონაგების სიდიდის საიმედოდ შეფასება *(ბასს 18);*

ა) პროცენტების აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ითვალისწინებს ბასს 39-ის მე-9 და მგ 5- მგ 8 პუნქტები;

ბ) როიალტების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, შესაბამისი შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე;

გ) დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როგორც კი ძალაში შევა უფლება დივიდენდების მიღების შესახებ.

10.<u>საკურსო სხვაობების აღიარება</u>

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული

ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, ბასს 21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

11. სალაროსა და საანგარიშსწორებო ოპერაციების აღრიცხვა

სხვადასხვა პირებს შორის ანგარიშსწორებისას უპირატესად გამოიყენება უნაღდო ფორმა.

ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციები ედრება ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაყვანილია ბასს 21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

12. მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს ბასს 21-ის მოთხოვნათა დაცვით. ანგარიშების წარმოდგენისას მომწოდებლის მიმართ უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულების ფინანსური *(მონეტარული)* ანგარიშ(ებ)ი გადაყვანილია წარსადგენ ვალუტაში ბასს 21-ის მოთხოვნათა დაცვით:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული საბოლოო სავალუტო კურსით;
- გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში.

13. შრომის ანაზღაურების აღრიცხვა

შრომის ანაზღაურება აღირიცხება ბასს 19-ს – „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების“ მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასება ხდება ამ სტანდარტის მე-11 პუნქტის შესაბამისად. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა აღიარდება, როგორც ხარჯი.

ხელფასების გაცემა ხორციელდება დადგენილ ვადებში, მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, შრომის კოდექსით განსაზღვრული წესით.

14. სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა

მოგების გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება სსკ-ს XIII თავის - მოგების გადასახადი, 96 -99 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

2017 წლის პირველი იანვრიდან გამოიყენება ე.წ. ესტონური მოდელი.

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში, აისახება ფაქტობრივი ოდენობებით, მოგების გადასახადის დეკლარაციაში კი - სსკ-თ განსაზღვრული შეზღუდვებისა და სხვა პირობების გათვალისწინებით.

კომპანიის წმინდა მოგების გამოყენება ხორციელდება პარტნიორთა გადაწყვეტილებით, წინა წლებში მიღებული ზარალის გამოკლების შემდეგ დარჩენილი ნაშთის გათვალისწინებით.

საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება სსკ-ს XI თავის 79-82 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი - სსკ-ს XIX თავის 200 -206 მუხლების მოთხოვნათა მიხედვით.

სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად განსაზღვრულია და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა ფინანსური ანგარიშგების ქვემოთ წარმოდგენილი მუხლები:

15. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა

ამ შესწორებათა ამოქმედებას საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

16. ანგარიშგების შედგენის შემდგომი პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენები.

2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ, ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციაზე გავლენის მქონე მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

შპს „უნიქალმედის" დირექტორი: / შ. მარუაშვილი/

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	300	4654	531
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2570015	2759556	1302029
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	1175538
მარაგები	1537483	1979625	364706
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	1537483	1979625	364706
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	120321	86310	277013
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	3619	3619	2545
ძირითადი საშუალებები	5468262	6573644	5266422
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	9700000	11407408	8388784
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	820000	914610	623285
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	640570	586369	674193
საგადასახადო ვალდებულებები	0	212420	278222
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	150000	8918
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	5734959	8672400	0
მიღებული გრანტები	0	0	4242637
სხვა ვალდებულებები	0	8405	4873
სულ ვალდებულებები	7195529	10544204	5832128

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	312345	312345	312345
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1601025	-40242	1348803
გადაფასების რეზერვი	591101	591101	895508
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2504471	863204	2556656
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9700000	11407408	8388784
სულ მოკლევადიანი აქტივები	422819	4743835	3119817
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1460570	1863399	1589491

შპს უნიქალმედის დირექტორი: /შ.მარუაშვილი/

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	12562450	10536537
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	12562450	10536537
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-6101310	-4982417
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	6461140	5554120
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-3503321	-3597323
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-410104	-410104
საპროცენტო შემოსავალი	0	38850
საპროცენტო ხარჯი	-275161	-258232
იჯარის ხარჯი	-25165	-21865
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-3109568	-2998898
სულ საოპერაციო ხარჯები	-7323319	-7247572
საოპერაციო მოგება	-862179	-1693452
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	1600000	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	737821	-1693452
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	737821	-1693452

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	591101	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	591101	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1328922	-1693452
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	863204	2556656
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	312345	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2504471	863204

შპს უნიქალმედის დირექტორი: /შ.მარუაშვილი/

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-4354	4123
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-4354	4123
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4654	531
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	300	4654

შპს უნიქალმედის დირექტორი: /შ.მარუაშვილი/